

აკაკი წერეთელი (1840—1915)  
Akaki Tseretheli. Berühmter georgischer Dichter

„ . . . წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს ვიყმაყი ხევის წყალი მორჩენია და მათში კი უპირატესობას, ერთს მათგანს, ჩიხურს, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და პირველი სარკე“ — ამბობს აკაკი.

ამ ჩიხურის პირად, სოფ. ხეტიორში, მალღობზე, ორსართულიან ქვითიკრის სახლში დაიბადა საქართველოს დიდი მგოსანი—აკაკი, 1840 წ. 22 ივნისს. აკა-

კის მამა რუსთომ წერეთელი, თვითონ აკაკის დახასიათებით, „იყო შინაკაცად გაზრდილი და ის იცოდა, რაც დედას ესწავლებია, მაგრამ ამავე დროს ის იყო ძლიერი გონებისა, მანერტული და ენა მჭევრი, ხშირად ენამწარეც ! !“ . . .

### გ ა რ კ ი ნ ე ნ უ ლ ი

აკაკის დედა — ეკატერინე (მეორე დიდი ფეოდალის ივანე აბაშვილის ქალი) წმინტის-ქალის მშენებლის მეფის სოლომონ I-ლის ასულის დარეჯან ბატონიშვილის (შვილი) იყო განათლებული ქალი „რაც კი რომ იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოდიოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე. მოხელსაქნარე და ამასთან კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან — შრომის მოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას მამლის ყვილზე რომ წამოდგებოდა დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმოდ კაცი ვერ ნახავდა“.

თავის მოვანებებში აკაკი მშობლებს სიყვარულით იხსენიებს, მაგრამ აღნიშნავს მათ შორის განსხვავებას: დედა — განათლებული და შრომის მოყვარული, მამა — სიმშვიდისა და მოსვენების მომხრე . . . „არც თვითონ შრომობდა, არც სხვას აწუხებდა“. ცხადია, რომ ამ პირობებში დედის გავლენა აკაკიზე უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იყო. პატარა აკაკი, ძველი ჩვეულების მიხედვით, ძიას ჩააბარეს და ექვსი წელიწადი გლეხის ოჯახში იზრდებოდა. ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: ის გაეცნო გლეხთა ყოფა — ცხოვრებას.

ექვსი წლის აკაკი სახლში მოიყვანეს და ოჯახში შეისწავლა წერა — კითხვა, შემდეგ კი მშობლებმა ის ქუთაისში გადაიყვანეს და გიმნაზიაში შეიყვანეს. იქ ის სწავლობდა შვიდი წელიწადი (1852—1859), მაგრამ არ დაუმთავრებია და გამოვიდა უკანასკნელ კლასიდან. 1859 წ. აკაკი პეტერბურგში და იქ შედის უნივერსიტეტში (აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე) სადაც რჩება 1862 წ.

პირველად ლექსების წერა აკაკიმ დაიწყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში; უნივერსიტეტში (1859—1862) დაწერა 23 ლექსი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აკაკი მიდის მოსკოვში და იქ მოკლე ხანში დაიცოლაშვილდება. ამ წლიდან იწყება მისი დამოუკიდებელი ცხოვრების ხანა. 1863 აკაკი ბრუნდება საქართველოში და ალტაცებით ხედება საგლეხო რეფორმების შემოტანას.

ამ დამოუკიდებელ ცხოვრების დროს აკაკიმ არა ერთხელ განიცადა მძიმე მატერიალური გაჭირვება, მტრობა და სხვა უსიამოვნება, მაგრამ მისი სტიქია (მწერლობა) და საზოგადოებრივი სამსახური ამაგრებდა მას.

ნახევარ საუკუნეზე მეტი აკაკი ემსახურებოდა ქართველ ერს.

აქ დაეთმოთ სიტყვა აკაკის: „იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა იმდენს ხანს მაცოცხლა, რომ, რასაც მაშინ ვეძიებოდი, ასრულდა და მტრები მოყვრად გადამექცენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე, და აღარც მათზე დღეს რომ არ დამიმსახურებია მისთანა პატივცემამი და სიყვარულში ვარ საქართველოში ! ! . . .

მართალია, მტრები დღესაცა მყავს, მაგრამ უმეტესობაზე ვამბობ და ღრმად მოხუცდისამარისკენ მივიდივარ ჩემის სამშობლოს ღოცვა-კურთხევით“.

1908 წელს საქართველომ იზეიმა მეოთხედი 50 წლის სამწერლო მოღვაწეობა 1915 წელს, 4 თებერვალს აკაკი სამუდამოდ გამოეხალსა ამ ქვეყანას. მისმა სიკვდილმა უღრმესი გლოვა გამოიწვია საქართველოში. ქართველმა ხალხმა ღირსეული პატივისცემით დაასაფლავა მისი საყვარელი მგოსანი ტფილისში „მამა დავითის“ მთაზე, ქართველი ერის შესაიდუმლეთა და სამშობლოსათვის შეწირულთა — დიდ ილიას და დიმიტრი ყიფიანის გვერდით, თანახმად მისი სურვილისა, რომელიც მან ასე შეუდარებლად გამოხატა თავის ლექსში: „განთიადი“.

რ. მ.

## ხატის წინ.

მიყვარს, როდესაც ხატის წინ  
ანთია წმინდა სანთელი  
და საიდუმლო პარპალით  
ბნელს ჭვანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად  
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,  
რომ მადლით გაასპეტაკოს  
თვალუწვედომელი წყვედადი.

მიეჩერებივარ ამ დიდ ძალს  
მწარ-ტყვილად ჩაფიქრებული;  
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,  
ცის სვეტად გაქვავეული.

რალაც უცნაურ ერთობას  
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა,  
მხოლოდ ვგრძნობ . . . თვარა ვერ სწედება  
ჩემი გონება და ტყუა.

სანთელი ჩემი ხორცია,  
სიცოცხლე-მოკლე პატრუქი,  
ნათელი—ტყუა-გონება,  
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე-მთელი ქვეყანა,  
და, რომ ვიწყოდე, ედნებოდე,  
არ შემიძლია მეც, განა?

კი! . . . მაგრამ მნათე არსად სჩანს,  
ჩემთან მომტანი ცეცხლისა! . . .  
ის მოციქული მომავლის,  
მსგავსი ტიკტიკა მერცხლისა! . . .

თ ე რ თ მ ე ტ ი ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე

„ერწინისის ველი“, „ერწინისის ველი!“  
რა საგულისხმო გასაგონია?!  
გმირთა კალთა, სისხლით მორწყული  
და ერიც მითი თავმომწონია! . . .

სადაც ქართველი კი წამებულა,  
ეს სუყველაზე უდიდესია:  
მამების კუბო სამარადისოდ  
შვილების აკვნად აქ ნათესია!

ეს არის დიდი უაღელვებელი  
ჩვენი წარსულის და მომავლის,  
მკვდრეთით სიცოცხლის მიმნიჭებელი,  
ძველზე გამყვანი ახალი კვალის!

აქ რომ კედებოდენ ჩვენი მამები,  
გაბაცებული და გამსჭვალული,  
სულ სხვა განზრახვით და სხვა იმედით  
სიკვდილის წინეთ უძგერდათ გული:

ერწინისის  
ველი

პფიქრობდენ: „ჩვენ ვართ უკანასკნელი  
სამშობლოს მსხვერპლი, გათავდეს ტირი! . . .  
და ქრისტეს მცენებს აწ „ქვაკუთხედად“  
უნდა დაედვას „ორთა კავშირი“.

„კავშირი ჯვარით გამყარებული,  
კავშირი ძმური და მეგობრული! . . .  
და, ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,  
იყოს წყვეული ღვთისგან და კრული!

„ან ვინ იფიქრებს იმის გაწყვეტას,  
თუ არ უგნურია და უმეცარი?  
ძმობა, ერთობა და სიყვარული  
ქვეყნისთვის არის ციური ცვარი! . . .

„ერთობა რჯულის, ერთობა გულის  
უფარისველია და პირდაპირი,  
აი, რა არის სხვადასხვა ტომის  
შემზორცხელი წმინდა კავშირი! . . .

ასე პფიქრობდენ, რომ გვიანდერძეს  
მათი განზრახვა სახელმძღვანელოდ,  
და მათი ღირსი აღარ ვიქნებოთ,  
ეს გრძნობა გულში რომ გავინელოთ!

მიყვარდა ვერ ვიცნობთ, ვინც ცივად გვეტყვის:  
„შესვალეთ თქვენი ხორცი და ფერი,  
დაპაარგეთ ენა, ზნე-ჩვეულება,  
უარპყავთ თქვენი ყოველიფერი!

წარბოცეთ თქვენი მებსიერება  
ზოგჯერ აღმძვრელი სინანულისო,  
და მაშინ მხოლოდ გახდებით ღირსი  
თქვენ ჩვენი ძმობა-სიყვარულისო“.

არა! არ გჯერა! . . . აქ შეცდომაა! . . .  
ასე არ ესმის ქართველის კაცობა!  
ჯერ უნდა იქნათონ სულითონ ამაღლდეს,  
რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა.

დამეხსენი, ჩრდილოელი! . . .  
რა მაქვს შენთან საზიარო?  
თვით ობერო, მოუვლელი,  
როგორ გინდა მოშიარო? . . .

ბუნებისგან დაჩაგრული  
განა შესძლებ მეგობრობას?!  
მოშახმული, ცივი გული  
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?!  
წლიდან წლამდე უცნაურად  
გეყინევა ტვინი თავში! . . .  
უნდა ძალაუნებურად  
ეხვეოდე დათვის ტყავში! . . .

არაფრად ჰგავს შენს ხმელ სოროს  
მხარე ჩემი ეს მადიარი! . . .  
არა, ღმერთმა ამაშოროს  
შენისთანა ბრანძი ქმარი! . . .

ვერ მომიხილავ, ცრუ მოყვარე  
ვერც ენით, ვერც თვალადობით . . .  
შეგვიპურივარ, როგორც მთვარე  
გველეშაპსა, ძალადობით . . .

შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს  
ანუგეშებს ის იმედი,  
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს  
მთლად დალეწავს ჩემი ზედი!

დამხსნის შენსა მონებასა,  
ცბიერებას გაგიწვობებს,  
გამომტიყებს გონებასა,  
თავისუფლად მაქორწილებს! . . .

დამეხსენი, ჩრდილოელი!  
რა მაქვს შენთან საზიარო?  
ნუ, ნუ პეტიტობ, ჩემო მწველო,  
რომ მფლობელად აღვიარო! . . .


ნ ი ნ ო ბ ა ს .

იტირე, მიწაე სამშობლოე!  
ზარი აუშვი, ზეცაო!  
ისტორიულმა ღვთის რისხვამ  
დღეს ჩვენთვის იორკეცაო! . . .

სად არის კუბო თამარის,  
ქვეყნისგან ნამშობრისა?  
ვის ხელში არის საფლავი  
ნინო მოციქულისწორისა?

ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს  
წვალება შემოერია  
და ჩვენს ეროვნულ ფიქარზე  
„ქართველი“ აღარ სწერია.

ვითროა?! . . . არა! ვაჟკაცსა  
ამ შვენის ცრემლით გლოვანი! . . .  
„სუბის სიცოცხლესა ნამარხსა  
სიკვდილი სახელოვანი! „



ა ღ მ ა რ თ — ა ღ მ ა რ თ . . .

აღმართ-აღმართ მიგდიოდი მე ნელა,  
სერზე შევედეგ, ტმუნენის ალი მენელა.  
მზემან სხივი მომაფურცა მაშინა,  
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილიმა ვერ მაშინა.

შემიძულდა მაშინ სული და გული;  
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.  
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო;  
ჩანგმაც თვისი მე სიმეზი დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა  
(აწ იგი ხმა ვერ ისმინის გაისმა).  
ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,  
ვთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“

და ვითქვრე; „ჩემი სატრფო სად არი?  
ნისლი ჰმურავს, თუ დღე უდგას სადარი?“  
გადვიხედე, ენახე; რომ სხვას მონებდა!  
გამიკვირდა! ვთქვი: „მტერს როგორ მონებდა?

მოხიბლულა, შემყდარია, ის არი! . . .  
აღერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“  
მივაძახე: „ტინჭარში ნუ ვარდები! . . .  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იყოდე!  
მეგ შარბათში საწამლავეს მხვამ, იყოდე!“  
არ მისმინა მწუხარებობთ დანავგულს  
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მიგდიოდი ნეტა რად,  
თუ ამ სერზე თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად!  
ჩემო თავო! ველარ გუქრუნენ წამალით!  
დაღმართ-დაღმართ დაუყვი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბართი, ნინობი, კუმობი და ლოდებით!  
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,  
ხელდაკრებით განისვენე მარადის!



ის აღარა ვარ, რაც ვიყავე,  
ძნელი ყოფილა ჭალარა . . .  
ველარ გაჰკივის თამამად  
ჩემი დაფი და ნალარა.

გული არ იშლის გულობას,  
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ლონე! . . .  
ვარ ბევრი „უის“ მნახველი  
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამეცხო გული წვეთ-წვეთად  
ნალეულითა და შხამითა,  
ისე, ვით საუკუნეები  
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე  
მე, აწმყო გამწარებულსა,  
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვრს,  
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,  
რომ გამილეებს გლახგულსა,  
თავი ტარიელ მგონია,  
ოცნებით გარემოყულსა.

ვუხსობ ფრიდონს და ავთანდილს,  
მხარი მხარს მივიცეთ, ხელი ხელს,  
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს  
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოსი?  
სისხლით შევღებავ ჭალარას  
და სულ სხვა ხმაზე დავუტყავ  
ამ ჩემ დაფსა და ნალარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეშვი  
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:  
მაცდურ სარკვეში მახედებს,  
ოცნებას მიკლავს . . . გულს მიხეთქს! . . .

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ  
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო! . . .  
და შენც ტარიელს მოჰყავებარ  
ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?  
რისთვის დავკარგო იმედი?  
გმირს წინა უძღვრის ყოველთვის  
უძლეური წინამორბედი! . . .

არა! აყვავდეს იმედი! . . .  
გულს ვერ გამიტებს ჭალარა! . . .  
გმირებს უძახის . . . უყვირს  
ჩემი დაფა და ნალარა! . . .



ს ი ზ მ ა რ ი .

დღიურ სიყბადით გულ დაჩაგრულსა  
ძილში მელირსა ტკბილი სიზმარი,  
ვნახე რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ  
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი  
და ქეთევანსა-წმინდა მოწმობის,  
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,  
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალნი,  
საქართველოსკენ აწვერდენ ხელსა  
და შეერთებით, ხმაშეწყობილად,  
პალოზდენ ტბილსა საგალოზბელსა:

„დედაო ლეთისაე! . . . შენი ხედდრია  
ეს საქართველო დიდჭირნახული,  
შეუნდევ ცოდაე! . . . ნუ აღებ ხელს,  
ლმობიერებით იბრუნე გული! . . .“

მოც კურთხევა ზეცით, მალალო,  
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,  
რომ აღადგინო ქართველთა ერი,  
დღეს დაციმული და ცოცხალმკვდარი!

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას  
განუმტკიცებდე აღმადრენსა  
და შენს საქებრად, სადიდებელად  
ნუ დააიწყებ იმ ტბილ ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,  
ქეთევან მარად შენ გადიდებდა  
და ნინო ძისა შენისა მცნებას  
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“ . . .

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,  
შეკვრებს ცისკრის ვარსკვლავსა;  
მნათობი სხივებს მაღლით ჰძვენს  
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,  
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა;  
მდინარე ნანას უმღერის  
რაინდსა, ურჩსა მტრისასა . . .

მთაწმინდა გულში იხუტებს  
საშვილიშვილო სამარეს,  
მამადავითსა ავედრებს,  
აბარებს ქვეყნის მოყვარეს . . .

მგოსანი გრძნობამორევით  
თვალს ავლებს არეშარესა  
და გულის პასუხს ნარნარად  
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეო,  
სხეული დავბრუნებულვარ,  
მკურნალად შემეყარეო! . . .

ა მ ი რ ა ნ ი .

„ვერ ავიტანე ობლობა,  
სისხლის ცრემლები ვდვარეო;  
წამძლია სულმა და გულმა,  
შენს ნახვას დავერქვარეო.

„კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭვული,  
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.

„წინ მომეგებენ ღიმილით  
შენი მზე, შენი მთვარეო,  
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,  
მოკაშვამ-მოვლავარეო.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა  
და რაღაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა.

„გულში იფეთქა სიამე,  
სევდები უკუყვარეო,  
ია და ვარდი დამქანარი  
ხელახლად გამიხარეო! . . .

ქქონდა ჭირში მოთმინება,  
არც ჰკენესოდა, არც ოხერიდა;  
უსამართლო ძლიერებას  
მონურად ქედს არ უხრიდა.

„ცაფირუზ ხმელეთზურმუხტო,  
სულის ჩამდგმელი მხარეო,  
შენი ვარ, შენთვის მოგვედები,  
შენზედვე მგლოვარეო! . . .

ზოლოს მანც გამარჯვება  
დარჩა! . . . ყველა გააოცა! . . .  
და ის ღვაწლი მაგალითად  
მიწის შეილთა მან ვადმოსცა . . .

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს  
ზე კალთა დამაფარეო . . .  
და, რომ მოგვედები, ვახსოვდეს,  
ანდერძი დავიხარეო:

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი,  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი—ყვავ-ყორანი.

„დედა-შვილობამ, ბევრს არ ვთხოვე;  
შენს მიწას მივახარეო,  
ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეო!“

მოვა დრო და თავს ზიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთავშირი! . . .  
სიხარულად შეეცვლება  
იმდენი ხნის ვასაჭირი!“



1858 აკაკის იუბილე 1908 • Akakis Jubiläum

და ადამიანს რა აამაღლებს,  
თუ არ მისივე წმინდა სამშობლო,  
ენა, ფერადი ზნე-ჩვეულება,  
ვით „წმინდათ-წმინდა“ საამასოფლო? . . .

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,  
ის მის მავიერს ვის შეიყვარებს?  
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,  
ვინდა გაუღებს სამოყვროდ კარებს?

განა სხვის სახლში შევა ერთგულად  
თავისი მტერი და გარეწარი?  
თუ არ ქვეშ-ქვეშად, ფარისევლოებით,  
ვით მოღალატე მონა . . . მზაკვარი?! . . .

არა და არა!! ქართველმა იცის  
ეს და მიტომაც მრუდფე არ სდგამს ფეხს  
და გადმონაცემს ძველებსივან  
საშვილიშვილო „ანდერძს“ არა სტეხს! . . .

და ის „ანდერძიც“ აქ დაიწერა,  
„ქრწინისის ველზე“, ქართველთა სისხლით,  
გამტკიცდა დღეის დღის მოგონებით  
და დაგვირგვინდა დღესვე ასი წლით! . . .

კურთხეულ იყოს ამიერიდან  
და საუკუნოდ სახსენებელი,  
ვინც რჯულს და მამულს შესწირა თავი  
და სისხლით მორწყო „ქრწინისის ველი“

#### ა ვ ა დ მ ყ თ ი .

არ მომკვდარა! . . . მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებს! . . .  
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,  
უმაღლ მასვე დაამიწებს.


ბევრის ბრძოლით დაღალულსა  
ეჭირებოდა მოსვენება!  
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:  
წესი არის და ბუნება!

ჩვენ-კი ჩვენდა თავად გეტყვით:  
გულსა სწავს და ტკუას სჯერა,  
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა  
მომავალი ბედისწერა!

მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარჩენს,  
არ გვიმართებს ორგულობა!  
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,  
ჩვენცა გვექონდეს დიდხელოება!

დეე, მისთვის გავღარიბდეთ,  
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:  
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს  
გამდიდრებული იუდა?

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,  
და როდესაც გაიღვიძებს,  
მოიგონებს იმათ სახელს,  
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს! . . .



#### ი უ ბ ი ლ ე

ეს ჩემ თავზე რა მოხულა? სადა ვარ?  
სიზმარია, თუ სასიზმრო ზღაპარი?  
ღარიბ-ღატაკს და ბნელში მყოფს აქამდე  
ვინ ამინთო ამ ბოლოს დროს ლამპარი?

ყვენივით შემასკუბებს მაღლობზე,  
ჩემ წინ დადგა თითქმის მთელი ქვეყანა;  
მილოჯავენ და მაღლს მზდიან . . . და რისთვის?  
რა მიმიძღვის სამსახური მისთანა?

ქალი, კაცი, ერი, ბერი, ბავშები,  
გაურჩევლად ტომისა და წოდების,  
აქ არიან, რომ გამიქრონ მიზეზი  
ჩემი ტანჯვის და ჩემი ცეცხლმოდების! . . .

მაგრამ მე კი, რომ ვგონივართ, ის არ ვარ! . . .  
სხვა იქნება მომავალი ის გმირი!! . . .  
მე უბრალო მიზეზი ვარ დღეის დღის,  
იმ მომავლის აჩრდილი რამ და პირი!

ჩემ სუსტ შრომას ეს აჭარბებს ყოველი! . . .  
საამისო, აბა, სა მომიცია?  
ეს ეკუთვნის ყველაფერი მომავალს  
და იმისი არის რებეტიცია!

მაშ ამნარ ხალხის აღფრთოვანებას  
შევუერთებ დღეს ჩემ სურვილს, გულისთქმას:  
„ვაშა! ვაშა, სათაყვანო მომავალს!“  
ამთავითვე წარუგზავნი ჩემ სუსტ ხმას! . . .

დ ა მ ა ტ ე ბ ა . გ ა ზ . „ კ ლ დ ე “ , N. 7/8

Beilage für „Klde“, „Der Fels“, Nr. 7/8